კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise

კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა

ოქტომბერი 2024

კვლევითი ინსტიტუტი - Gnomon Wise



2023 წელს კავკასიის ეკონომიკის ზრდა 4.4%-ია. 2022 წელს კავკასიის ზრდა 7.8%-ს აღწევდა. გასულ წელს ეკონომიკური ზრდის ტემპის კლება, რუსეთიდან ადამიანური და ფინანსური კაპიტალის ნაკადების შემცირებასა და, წინა წელთან შედარებით, ნავთობის დაბალ ფასებს უკავშირდება. მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ზრდამ 7% შეადგინა.

გასულ წელს საქართველოს ეკონომიკა 7.5%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველ რვა თვეში ეკონომიკურმა ზრდამ 10% შეადგინა. ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ტელეკომუნიკაციების, მშენებლობის, საფინანსო, უძრავი ქონების და ვაჭრობის სექტორებმა შეიტანა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა ენერგეტიკის სექტორში.

გასულ წელს სომხეთის ეკონომიკა 9.8%-ით გაიზარდა. 2024 წლის იანვარ-აგვისტოში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ეკონომიკა 9%-ით გაფართოვდა. სომხეთის ეკონომიკურ ზრდაში განსაკუთრებულ როლს სავაჭრო სექტორი თამაშობს, რომელმაც ამ პერიოდში 20.4%-ით მოიმატა, სამშენებლო დარგმა კი - 16.2% -ით.

რეგიონში ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი აზერბაიჯანში დაფიქსირდა. 2023 წელს აზერბაიჯანის ეკონომიკა 1.1%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველ რვა თვეში ზრდამ 4.3% შეადგინა. აზერბაიჯანის ეკონომიკის 34.4%-ს ნავთობისა და გაზის ინდუსტრია იკავებს. ამ ინდუსტრიის გარეშე, ზრდის ტემპმა 7% შეადგინა.

კვლევითი ინსტიტუტი - Gnomon Wise

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა



ინფლაციის მაჩვენებელი კავკასიის რეგიონში, ძირითადად, ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს იმეორებს. საუკეთესო მდგომარეობა საქართველოშია, ხოლო ფასების დონის ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აზერბაიჯანში დაფიქსირდა.

2023 წელს საქართველოში ინფლაციის ტემპი, წინა წელთან შედარებით, შემცირდა. 2024 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 0.6% შეადგინა. სექტემბრის ინფლაციაში მაღალი წვლილი სტუმარ-მასპინძლობის სექტორის ფასებმა შეიტანა, რომელიც 7.5% -ით გაიზარდა. თუმცა, რიგ სექტორებში ფასების კლება დაფიქსირდა, მათ შორის, კავშირგაბმულობის ფასები ყველაზე მეტით, 12.8%-ით შემცირდა. ამ ფონზე, ცენტრალურმა ბანკმა, ბოლო გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 8%-ზე შეინარჩუნა.

რეგიონში ფასების დინამიკით სომხეთი გამოირჩევა. მიმდინარე წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდა 0.6% იყო. ყველაზე მაღალი, 9%-იანი ზრდა ტრანსპორტის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო 3.4%-იანი კლება - ტანსაცმლის ფასებზე. სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება 2023 წელს დაიწყო. ბოლო გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 7.5%-მდე შემცირდა.

აზერბაიჯანში ინფლაცია დასტაბილურდა. 2024 წლის სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 3.5% შეადგინა. აგვისტოში ეს ნიშნული იგივე იყო. აზერბაიჯანი რეგიონში შედარებით მაღალი ინფლაციით წინა პერიოდებში გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის გამკაცრებისგან თავს იკავებდა. ივნისში მიღებული გადაწყვეტილებით, პოლიტიკის განაკვეთი 7.25%-ზე შენარჩუნდა.